საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030118289483918

№ 01-92/ო **29 / აგვისტო / 2018 წ.**

ტუბერკულოზის ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანოს - ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა'' და „ნ'' ქვეპუნქტების, მე-19 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეიქმნას ტუბერკულოზის ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანო - ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული საბჭო (დანართი №1).

2. დამტკიცდეს ტუბერკულოზის ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანოს - ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული საბჭოს დებულება (დანართი №2).

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ტუბერკულოზის ცენტრალური მაკოორდინირებელი ორგანოს - ტუბერკულოზის კონტროლის ეროვნული საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2014 წლის 11 ნოემბრის N01-282/ო ბრძანება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი

ხელმოწერილია/
მტკიცდასმულია
ელექტრონულად

დავით სერგეენკო